

შპს „პპ“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან	12
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
7. სხვა საოპერაციო წმინდა შემოსულობა/(ხარჯი)	12
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	13
10. ფინანსური ხარჯი	13
11. მოგების გადასახადი	13
12. ძირითადი საშუალებები	14
13. გუდვილი.....	15
14. არამატერიალური აქტივები	15
15. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	16
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
17. გაცემული სესხები	17
18. გადასახადები	17
19. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	17
20. კაპიტალი	17
21. მიღებული სესხები	17
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	18
23. პირობითი ვალდებულებები	18
24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
25. ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	22
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	23
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	23
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	24
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	24
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	24
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პ3“-ის ხელმძღვანელობას და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პ3“-ის და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 4,260 ათას ლარს. ასევე, ვერ დავრწმუნდით ჯგუფის მიერ 2023 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოწერილი მარაგების სისწორეში, რომლის ღირებულება შეადგენს 1,251 ათას ლარს. მარაგების ფიზიკურ არსებობაზე ჩვენი მოსაზრება იყო მოდიფიცირებული შესადარისი თარიღისათვის. აღნიშნული მარაგების ღირებულება შეადგენს 24,564 ათას ლარს. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჯგუფმა 2021 წლის მაისში შეიძინა 100% წილი შპს „პორტალ“-ში, აღნიშნულ მომენტში ჯგუფს არ განუხორციელებია შვილობილი საწარმოს აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებებით შეფასება საწარმოთა გაერთიანების შედეგის ასახვად. შედეგად, იდენტიფიცირებული აქტივები და ვალდებულებები ასახულია თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მსს ფასს-ის მე-19 განყოფილების „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ მოთხოვნებიდან გადახვევას. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნული უზუსტობის ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფს მიუხედავად გაუფასურების ინდიკატორების არსებობისა, საანგარიშგებო პერიოდისთვის არ შეუმოწმებია საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილის გაუფასურება, რაც წარმოადგენს მსს ფასს-ის 27-ე განყოფილების - „აქტივების გაუფასურება“ მოთხოვნებიდან გადახვევას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს

მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 12,371 ათას ლარს, ამასთან მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს აჭარბებს 24,594 ათასი ლარით და ჯგუფი საჭიროებს ინვესტიციებს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად და სასესხო ვალდებულებების დასაფარად. ამავე დროს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარღვეული იყო მიღებულ სესხთან დაკავშირებით არსებული ფინანსური კოვენანტები (დეტალებისთვის იხილეთ 21-ე შენიშვნა).

ვალდებულებების გასტუმრება და საქმიანობის შეუფერხებელი წარმართვა არსებითად არის დამოკიდებული მომავალში დაფინანსების მიღებაზე და საოპერაციო შედეგების გაუმჯობესებაზე. მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ ჯგუფი საშუალოვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას და სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად აუცილებელი ფულადი სახრსების მოზიდვას. ამისთვის ჯგუფს შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგია და ბიზნეს მოდელი.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 21-26 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

23 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში ძივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

23 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო.

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	5	263,312	370,934
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(255,950)	(352,140)
საერთო მოგება		7,362	18,794
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსულობა/(ხარჯი)	7	2,699	3,898
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(11,115)	(5,143)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	9	(6,212)	(5,538)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(7,266)	12,011
ფინანსური შემოსავალი		625	28
ფინანსური ხარჯი	10	(3,877)	(3,147)
საკურსო მოგება		234	21
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(10,284)	8,913
მოგების გადასახადი	11	(667)	(2,365)
წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი		(10,951)	6,548

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს.

ნოდარ ხუბაშვილი
დირექტორი

შპს „მკ“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	5	263,312	370,934
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(255,950)	(352,140)
საერთო მოგება		7,362	18,794
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსულობა/(ხარჯი)	7	2,699	3,898
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(11,115)	(5,143)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	9	(6,212)	(5,538)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(7,266)	12,011
ფინანსური შემოსავალი		625	28
ფინანსური ხარჯი	10	(3,877)	(3,147)
საკურსო მოგება		234	21
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(10,284)	8,913
მოგების გადასახადი	11	(667)	(2,365)
წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი		(10,951)	6,548

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს.


ნოდარ ხუხუშვილი
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	5,528	7,771
გუდვილი	13	7,794	8,857
არამატერიალური აქტივები	14	108	110
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,430	16,738
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	15	5,766	24,564
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	4,497	17,522
გაცემული სესხი	17	2,342	2,404
საგადასახადო აქტივი	18	151	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	859	1,335
სულ მიმდინარე აქტივები		13,615	45,825
სულ აქტივები		27,045	62,563
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	20	1,207	368
გაუნაწილებელი (ზარალი)/მოგება	20	(12,371)	922
სულ კაპიტალი		(11,164)	1,290
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	18	-	339
მიღებული სესხები	21	27,635	34,151
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	10,574	26,783
სულ მიმდინარე ვალდებულებები		38,209	61,273
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		27,045	62,563

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებე ლი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	80	7,906	7,986
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	6,548	6,548
ოპერაციები მესაკუთრებთან:			
ტრანზაქციები დამფუძნებლებთან (შენიშვნა 20)	-	(129)	(129)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(13,403)	(13,403)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	288	-	288
31 დეკემბერი 2022	368	922	1,290
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(10,951)	(10,951)
ოპერაციები მესაკუთრებთან:			
ტრანზაქციები დამფუძნებლებთან (შენიშვნა 20)	-	1,435	1,435
გამოცხადებული დივიდენდი	-	(3,777)	(3,777)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	839	-	839
31 დეკემბერი 2023	1,207	(12,371)	(11,164)

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	295,206	436,925
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(236,399)	(349,305)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,885)	(3,044)
გადახდილი გადასახადები	(45,685)	(73,667)
გადახდილი პროცენტები	(3,952)	(3,078)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	6,285	7,831
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(1,586)	(1,948)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	6,073	1,448
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(2)	(16)
წილის შეძენა	(3,552)	(3,485)
გაცემული სესხები	1,660	(2,351)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	2,593	(6,352)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული/(დაფარული) სესხი	(6,493)	12,458
გადახდილი დივიდენდი	(3,777)	(13,403)
მეწილის სახელით განხორციელებული	91	-
ოპერაციებიდან მიღებული ფული, ნეტო	839	288
საწესდებო კაპიტალის ზრდა	74	2
მიღებული პროცენტი	74	2
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(9,266)	(655)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(388)	824
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,335	707
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(88)	(196)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	859	1,335

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „პპ“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2021 წლის აპრილში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405455608.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) შეძენა და საბითუმო და საცალო რეალიზაცია. ჯგუფს როგორც საკუთრებაში ასევე იჯარით აქვს აღებული ბენზინგასამართი სადგურები და უზრუნველყოფს მათ ფუნქციონირებას. ჯგუფი ბაზარზე წარმოდგენილია 35 ბენზინგასამართი სადგურით, 35 ბენზინგასამართი სადგურიდან 14 განთავსებულია თბილისის ტერიტორიაზე, ხოლო დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მშობელი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ინვესტიციების განხორციელება და შემდგომი მართვა. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფში დასაქმებული იყო 202 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. მშობელი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N 23, სართული 16, ბინა N103, ხოლო საქმიანობის ადგილი საქართველო, თბილისი, გიო ხუციშვილის ქუჩა N3.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2023	2023
შპს Portal	აქტივების მართვა და იჯარით გაცემა	100%	100%
შპს პორტალ +	საწვავით საცალო ვაჭრობა	100%	100%
შპს პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია	საწვავით საბითუმო ვაჭრობა	100%	100%

მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა არ შეცვლილა და ანგარიშგების თარიღისათვის, ისევე როგორც ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნოდარ ხუნაშვილი	50%	50%
შალვა ხუნაშვილი	50%	50%

2021 წლის აპრილში, კომპანიის მესაკუთრეების მიერ საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნა შპს „Portal“- ის და შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“- ს 100%-იანი წილები. აღნიშნული კომპანიებისა და შპს „პპ“-ის მესაკუთრეთა სტრუქტურა იყო ერთნაირი შესაბამისად ეს ოპერაცია, განხილულ იქნა, როგორც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანება.

2021 წლის მაისში ჯგუფმა დამატებით შეისყიდა შპს „პორტალ +“-ის 100%-იანი წილი. 1 მაისიდან შეძენის თარიღამდე საწარმოში ოპერაციების ეფექტის არაარსებობის გამო, საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღიარება მოხდა 2021 წლის 1 მაისის მდგომარეობით.

ინფორმაცია შეძენის ოპერაციის საწყის აღიარებასთან დაკავშირებით მოცემულია მე-13 შენიშვნაში.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, მენეჯმენტის მიერ გამოყენებული მსჯელობა მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2023 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებული ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფმა, შპს „Portal“-ის და შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“-ს წილების დასაკუთრება ასახა როგორც საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა გაერთიანება და მსს ფასს-ის მე-19 განყოფილების

მოთხოვნების შესაბამისად არ გამოუყენებია მე-19 განყოფილების მოთხოვნები საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღიარებისთვის და შემოსული აქტივები და ვალდებულებები აღიარა მათი საბალანსო ღირებულების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

ამ მეთოდის გამოყენებისას ნებისმიერი სხვაობა გადაცემულ კომპენსაციასა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება მშობელი საწარმოს კაპიტალში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა და შენობა-ნაგებობები	20
ავტოგასამართი სადგურების აღჭურვილობა	3-10
რეზერვუარები	5-7
სატრანსპორტო საშუალებები	2-7
ოფისის აღჭურვილობა	3-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-10
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	2-6

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი ან აშენებული ქონება აღირიცხება, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულებაში შედის:

- მიწის თვითღირებულება;
- სამშენებლო მასალებში გადასახდელი თანხები, ქვეკონტრაქტორებზე გაწეული დანახარჯებისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების ჩათვლით;
- დაგეგმარებისა და დაპროექტების დანახარჯები, ობიექტის მომზადების ხარჯები, მშენებლობის ზედნადები ხარჯი, ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯი და სხვა შესაბამისი დანახარჯები.

მოგებაში ან ზარალში აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება გაყიდვის მომენტისთვის განისაზღვრება, როგორც გაყიდულ ქონებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯები და გაყიდული ქონების ფარდობითი ზომის მიხედვით მასზე განაწილებული არაპირდაპირი დანახარჯები.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი

აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.**

ჯგუფის უნარზე განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- ჯგუფს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ვადადამდგარი კრედიტორული დავალიანება და დარღვეული იყო მიღებულ სესხთან დაკავშირებით არსებული ფინანსური კოვენანტები,
- მიმდინარე პერიოდი ჯგუფმა დაასრულა უარყოფითი შედეგით.

მენჯმენტმა, იმის შესაფასებლად აქვს თუ არა ჯგუფს უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, შედგა მოლაპარაკებები ჰოლდინგის მასშტაბით ინვესტირებასთან, რომლის ფარგლებში ჰოლდინგმა სესხის სახით მიიღო დაფინანსება, კერძოდ ჯგუფმა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მიიღო სესხი 7,000 ლარის ოდენობით. შედეგად, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ეს რესურსი გამოყენებულია სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ჯგუფმა ახალ ინვესტორთან ერთად დაარსა კომპანია 50%-იანი მონაწილეობით. მომავალში დაგეგმილია საცალო სავაჭრო ქსელის ერთობლივი განვითარება ისე რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საოპერაციო შედეგები.
- საანგარიშგებო წლის შემდგომ პერიოდში რესურსების მობილიზებით გზით შესაძლებელი გახდა ბანკიდან მიღებული სესხის დაფარვა 3,990-მდე ლარის ოდენობით. ამასთან, ჰოლდინგის მასშტაბით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ბანკთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გეგმის შემუშავებაზე. კერძოდ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები საკრედიტო ხაზების ანუიტეტთან სესხებად გარდაქმნასთან და ახალი გადახდის გრაფიკის შედგენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ მოუწევს სასახეო ვალდებულებების მოკლევადიან პერიოდში დაფარვა.
- მენეჯმენტი მუშაობს ასევე ხარჯების ოპტიმიზირების შესაძლებლობაზე და ეს პროცესი არ არის დასრულებული;
- ჯგუფმა ბენეფიციარი მფლობელებისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რომელშიც ისინი გამოხატავენ მზადყოფნას, რომ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ ჯგუფი ფინანსური რესურსით, რათა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფმა შეძლოს ვალდებულებების სრულად მომსახურება.

აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში ჯგუფი შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუქნციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2023	2022
ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან - საბითუმო	181,184	240,362
ამონაგები საცალო რეალიზაციიდან - თბილისი	43,405	67,970
ამონაგები საცალო რეალიზაციიდან - რეგიონები	38,723	62,602
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	263,312	370,934

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
თვითღირებულება - საბითუმო რეალიზაცია	(175,472)	(228,226)
თვითღირებულება - საცალო რეალიზაცია	(79,227)	(123,914)
მარაგების დანაკლისი	(1,251)	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(255,950)	(352,140)

7. სხვა საოპერაციო წმინდა შემოსულობა/(ხარჯი)

	2023	2022
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	2,466	(35)
შემოსავალი იჯარიდან	245	426
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ნარჩენი ღირებულების ჩამოწერა	(29)	-
მოგება მარაგად კლასიფიცირებული უძრავი ქონების რეალიზაციიდან	-	3,492
სხვა	17	15
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსულობა/(ხარჯი)	2,699	3,898

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
მარაგის გაუფასურების ხარჯი*	(3,942)	-
ჯარიმები და საურავები*	(1,491)	-
შრომის ანაზღაურება	(1,268)	(1,544)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,194)	(1,164)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(662)	(354)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(469)	(250)
რემონტის ხარჯი	(458)	(424)
საიჯარო ქირა	(219)	(222)
საკონსულტაციო ხარჯი	(179)	(290)
დაზღვევის ხარჯი	(154)	(76)
საპენსიო ხარჯი	(102)	(64)
ბანკის საკომისიო	(74)	(60)
კომუნალური ხარჯები	(63)	(42)
საკანცელარიო ხარჯი	(16)	(40)
სხვა	(824)	(613)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(11,115)	(5,143)

* ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ჰქონდა მოქმედი კონტრაქტები მოწოდებლებთან, რომლებთანაც შესასყიდი ფასი იყო ფიქსირებული. ბაზარზე ფასების მერყეობის გამო, საწვავზე საკუთრების გადმოსვლის მომენტში ფასი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, შესაბამისად, ჯგუფმა აღიარა მარაგის გაუფასურების ხარჯი ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე დაყვანით. აღნიშნული კონტრაქტების მოშლას უკავშირდება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში აღიარებული ჯარიმები და საურავები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(2,217)	(1,867)
იჯარის ხარჯი	(2,059)	(2,095)
ცვეთა და ამორტიზაცია	(840)	(945)
საშუამავლო მომსახურების ხარჯი	(528)	-
ბანკის საკომისიო	(313)	(388)
კომუნალური ხარჯები	(212)	(234)
სხვა	(43)	(9)
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(6,212)	(5,538)

10. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხის პროცენტი	(3,821)	(3,070)
დაკავშირებული იურიდიული პირისგან მიღებული სესხის პროცენტი	(30)	(71)
ფაქტორინგი	(20)	-
სხვა	(6)	(6)
სულ ფინანსური ხარჯი	(3,877)	(3,147)

11. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი გამოცხადებულ დივიდენდზე 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს 667 ლარს (2021: 2,365).

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

შპს „პპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოგასამართი სადგურების აღჭურვილობა	რეზერვუარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2021	4,038	3,113	1,715	126	172	894	702	10,760
შემოსვლა	1,058	177	243	349	165	4	37	2,033
გასვლა/ჩამოწერა	(312)	(357)	(246)	(73)	-	-	-	(988)
31 დეკემბერი 2022	4,784	2,933	1,712	402	337	898	739	11,805
შემოსვლა	481	331	19	1,468	63	-	8	2,370
გასვლა/ჩამოწერა	(1,259)	(556)	(314)	(1,744)	(40)	(137)	(126)	(4,176)
31 დეკემბერი 2023	4,006	2,708	1,417	126	360	761	621	9,999
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2021	(456)	(776)	(923)	(39)	(92)	(338)	(512)	(3,136)
ცვეთის ხარჯი	(91)	(381)	(268)	(24)	(41)	(126)	(104)	(1,035)
გასვლა/ჩამოწერა	6	93	38	-	-	-	-	137
31 დეკემბერი 2022	(541)	(1,064)	(1,153)	(63)	(133)	(464)	(616)	(4,034)
ცვეთის ხარჯი	(87)	(384)	(223)	(39)	(73)	(100)	(53)	(959)
გასვლა/ჩამოწერა	1	196	66	21	6	107	125	522
31 დეკემბერი 2023	(627)	(1,252)	(1,310)	(81)	(200)	(457)	(544)	(4,471)
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	4,243	1,869	559	339	204	434	123	7,771
31 დეკემბერი 2023	3,379	1,456	107	45	160	304	77	5,528

საბანკო ვალდებულებების უზრუნველყოფაში ჩადებულია ძირითადი საშუალებები, ინფორმაცია იხილეთ მე-21 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. გუდვილი

მშობელმა კომპანიამ 2021 წლის მაისში შეიძინა შპს „პორტალ“-ის 100% -იანი წილი ფიზიკური პირისგან 10,300 ლარად. კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო, საცალო აგს-ების მეშვეობით რეალიზაცია, რაც ჯგუფის შეფასებით წარმოქმნის დამატებით სინერგიულ ეფექტს. მის ფასს-ის მე-19 განყოფილების საწარმოთა გაერთიანების სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად სხვაობა შეძენილი ნეტო აქტივების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციას შორის აღიარებულია როგორც გუდვილი.

	შპს პორტალ +
საწესდებო კაპიტალი	-
გაუნაწილებელი მოგება შეძენის თარიღში	328
იდენტიფიცირებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება	328
გადახდილი კომპენსაცია	10,300
არამაკონტროლებელი წილი	-
გუდვილი	10,628

ჯგუფმა გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრა 10 წელი. პერიოდის ამორტიზაციის ხარჯმა შეადგინა 1,063 ლარი.

14. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა	სულ არამატერიალური აქტივები
31 დეკემბერი 2021	105	8	113
შემოსვლა	17	-	17
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	122	8	130
შემოსვლა	11	-	11
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2023	133	8	141
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2021	(5)	(4)	(9)
ამორტიზაციის ხარჯი	(11)	-	(11)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(16)	(4)	(20)
ამორტიზაციის ხარჯი	(13)	-	(13)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(29)	(4)	(33)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	106	4	110
31 დეკემბერი 2023	104	4	108

ჯგუფის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს ბუღალტრული პროგრამა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საქონელი- საწვავი:		
საწვავი - რეგულარი	2,423	15,122
საწვავი - დიზელი	1,201	5,043
საწვავი - პრემიუმი	553	4,304
ნედლეული და მასალები	62	62
სხვა	21	33
საქონელი-უძრავი ქონება:		
საცხოვრებელი სახლი	1,506	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,766	24,564

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	4,480	6,448
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	46	6,219
სხვა მოთხოვნები	221	-
	4,747	12,667
ანარიცხი უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე	(816)	(400)
ფინანსური აქტივები, ნეტო	3,931	12,267
სხვა აქტივები		
გადახდილი ავანსები	630	5,322
გაუფასურების ანარიცხი	(64)	(67)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,497	17,522

უიმედო და საეჭვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	ფინანსური აქტივები	სხვა აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	(217)	-	(217)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის ზრდა	(183)	(67)	(250)
31 დეკემბერი 2022	(400)	(67)	(467)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის ზრდა	(472)	3	(469)
პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	56	-	56
31 დეკემბერი 2023	(816)	(64)	(880)

17. გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ მოკლევადიან, არაუზრუნველყოფილ სესხს ეროვნულ ვალუტაში.

18. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

19. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	684	1,119
ეროვნული ვალუტა სალაროში	175	216
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	859	1,335

20. კაპიტალი

ინფორმაცია მშობელი კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

მშობელი კომპანია დაარსდა 2021 წლის 14 აპრილს, როგორც სააქციო საზოგადოება, რომელიც შემდგომ 2021 წლის 3 ნოემბერს გადაკეთდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2021 წლის 3 ნოემბრის მდგომარეობით, გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 100,000 ცალი ჩვეულებრივი აქციისგან ერთ ლარიანი ნომინალური ღირებულებით. გამოშვებული ჩვეულებრივი აქციებიდან 80,000 ლარის სანაცვლოდ დამფუძნებლების მიერ კაპიტალში შეტანილი იყო შპს „Portal“- ის და შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“- ს წილები, აქციების დანარჩენი ნაწილი არის გადაუხდეელი.

2021 წლის 3 ნოემბერს, სამართლებრივი ფორმის ცვლილების შედეგად კაპიტალის სტრუქტურა არ შეცვლილა.

2023 წელს დამფუძნებლებებმა კაპიტალი შეავსეს 839 ლარის ოდენობით. (2022: 288 ლარი)

21. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხი	ლარი	11.5-14.5 %	2024	20,414	22,858
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხი	ევრო	5.29%	2029	3,996	4,348
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხი	ლარი	რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 2%	2026	2,985	3,908
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	ლარი	11.5 %	2024	240	855
ფაქტორინგი	დოლარი	10.00%	2023	-	999
ფაქტორინგი	ლარი	9.00%	2023	-	1,183
სულ მიღებული სესხები				27,635	34,151

21. მიღებული სესხები (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხზე ჯგუფს არ აქვს შესასრულებელი ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები.

ჯგუფს ფინანსური ინსტიტუტისგან აღებული აქვს, როგორც საკრედიტო ხაზი, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების ფინანსირება, ასევე ჯგუფმა აიღო გრძელვადიანი ანუიტეტური სესხი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად, აღნიშნული სესხის დაფარვის პერიოდია 2026 წელი.

ამასთან, ჯგუფს შესასრულებელი აქვს სხვადასხვა სახის ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები.

ჯგუფს საკრედიტო ხაზთან დაკავშირებით დარღვეული აქვს ფინანსური კოვენანტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფში შემავალ კომპანიებს ასევე დარღვეული ჰქონდათ კოვენანტები ანუიტეტური სესხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ფინანსური კოვენანტები, რომლებიც დარღვეული იყო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ, შესაბამისი კოეფიციენტების გადათვლა ხდება ბოლო თორმეტი თვის მონაცემების საფუძველზე:

ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 300%-ზე მეტი;

სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1.3 დონეზე.

Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1.05 დონეზე;

ჯგუფი ვალდებულია, სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3.0 დონეზე;

ჯგუფს რადგან დარღვეული აქვს ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული სესხი წარდგენილია მოკლევადიან ვალდებულებად.

მიღებული სესხი უზრუნველყოფილია შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“-ს კუთვნილი ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლო სავაჭრო მარაგებით, ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლო მოძრავი და უძრავი ქონებით. ბენეფიციარი მფლობელების საკუთრებაში არსებული ქონებით, შპს „Portal“-ის (დაკავშირებული კომპანია) კუთვნილი ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლო სავაჭრო მარაგებით, შპს „Portal“-ის უძრავი ქონებით, შპს „პპ“-ის წილები. შპს „Portal“, შპს „პორტალ +“, შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“, ჯგუფის მფლობელები, წარმოადგენენ კომპანიის თავდებს ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობისას.

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	9,740	20,941
მიღებული ავანსები	662	5,826
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	162	3
სხვა ვალდებულებები	10	13
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,574	26,783

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

23. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები,

ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
კავშირის სახე			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	162	3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	37	6,213
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ბენეფიციარი მესაკუთრე	9	6
გაცემული სესხი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,925	1,520
გაცემული სესხი	ბენეფიციარი მესაკუთრე	404	882
მიღებული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	240	855

24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

კავშირის სახე		2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	21	16
ამონაგები რეალიზაციიდან	ბენეფიციარი მესაკუთრე	16	53
ამონაგები რეალიზაციიდან	დამფუძნებლის მეუღლე	3	-
ამონაგები რეალიზაციიდან	დირექტორი	8	-
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	13	15
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	3
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	ბენეფიციარი მესაკუთრე	-	34
ფინანსური შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	186	16
ფინანსური შემოსავალი	ბენეფიციარი მესაკუთრე	428	12
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	ბენეფიციარი მესაკუთრე	4	5
ფინანსური ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	30	71

25. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2024 წლის იანვარში შპს "პპ"-მა შპს "პორტალ+"-ის 50%-იანი წილი მიჰყიდა შპს „სითი ოილს“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია უჩა გოგინიაშვილი.

2024 წლის აპრილში „ჯგუფმა“ განახორციელა ინვესტიცია შპს „პორტალ რითეილში“, აღნიშნულ კომპანიაში ჯგუფი ფლობს 50%-იან წილს. შპს „პორტალ რითეილის“ საოპერაციო საქმიანობაა საწვავის საცალო რეალიზაცია აგს-ების ოპერირების გზით.

2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე პერიოდში შპს „პორტალ +“-მა შეწყვიტა აგს-ების ოპერირება და მის საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს იჯარით აღებული აგს-ების ქვეიჯარით გაცემა.

ჯგუფმა დაკავშირებული კომპანიისგან შპს „რეპსოლი“ მიიღო 7,000 ათასი ლარის ოდენობის სესხი საოპერაციო საქმიანობის დაფინანსების მიზნით.

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯიამ“ გაყიდა საცხოვრებელი ბინა.

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მოხდა ბანკიდან მიღებული სესხის დაფარვა 3,990-მდე ლარის ოდენობით.

შპს „პპ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს „პპ“ და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, რომლებიც დაარსებულნი არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მშობელი კომპანიის დირექტორია ნოდარ ხუხაშვილი.

შპს „პპ“-ის მესაკუთრეები არიან

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნოდარ ხუხაშვილი	50%	50%
შალვა ხუხაშვილი	50%	50%

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: ჯგუფის ძირითადი საქმიანობა 2023 წლის განმავლობაში იყო ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი, შენახვა და საბითუმო და საცალო რეალიზაცია სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე. ჯგუფის მიერ შეძენილი პროდუქცია იყიდებოდა საქართველოში. ჯგუფი მომხმარებელს საწვავთან ერთად სთავაზობს ყველა სახის ლოჯისტიკურ მომსახურებას (ადგილზე მიტანა, ადგილზე ბუნკირება, საწვავის ყიდვა-გაყიდვა). ჯგუფის ძირითადი ბაზა მდებარეობს გარდაბნის რაიონში, სოფელი მარტყოფი, ვაზიანი, სადაც ჯგუფის კუთვნილი რეზერვუარებია განთავსებული. ჯგუფს ასევე საკუთრებაში აქვს ბენზინგასამართი სადგურები და უზრუნველყოფს მათ ფუნქციონირებას.

ჯგუფის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2023	2022
ამონაგები საწვავის რეალიზაციიდან - საბითუმო	181,184	240,362
ამონაგები საცალო რეალიზაციიდან - თბილისი	43,405	67,970
ამონაგები საცალო რეალიზაციიდან - რეგიონები	38,723	62,602
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	263,312	370,934

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) შეძენა და რეალიზაცია ცენტრალიზებულად ან მითითებულ მისამართებზე, ასევე მათი რეალიზაცია საკუთარი აგს-ების გამოყენებით. ჯგუფის მიერ პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ჯგუფი 2023 წელს საწვავის საცალო რეალიზაციებს ახორციელებს 35 აგს-ის მეშვეობით.

ჯგუფის სტრუქტურა.

შპს „პპ“-ის დაარსებიდან ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე დირექტორი იყო ნოდარ ხუხაშვილი. ჯგუფის დირექტორის დანიშვნის წესი განისაზღვრება წესდების შესაბამისად.

შპს „პპ“ საანგარიშგებო პერიოდისთვის თავის მხრივ ფლობდა შემდეგ კომპანიებში წილებს:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2023	2022
შპს „Portal“	უძრავი ქონების იჯარა	100%	100%
შპს „პორტალ +“	საწვავით საცალო ვაჭრობა	100%	100%
შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“	საწვავით საბითუმო ვაჭრობა	100%	100%

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ანგარიშგების გამოცემამდე შპს „პპ“-მა შპს „პორტალ“-ის 50%-იანი წილი მიჰყიდა შპს „სითი ოილს“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია უჩა გოგინიაშვილი ასევე, 2024 წლის აპრილში „ჯგუფმა“ განახორციელა ინვესტიცია შპს „პორტალ რითეილში“, აღნიშნულ კომპანიაში ჯგუფი ფლობს 50%-იან წილს.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**ძირითადი კოეფიციენტები:**

	2023	2022
სულ შემოსავალი	263,312	370,934
სულ აქტივები	27,045	62,563
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	202	201
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.36	0.75
მარაგების ბრუნვა (დღე)	8.22	25.46
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	15.08	27.76
დებიტორების ბრუნვა (დღე)	6.23	17.22

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში იყო 202. ჯგუფს აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით, მიმდინარე საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ჯგუფის საქმიანობა არ არის დამოკიდებული რომელიმე ერთ მომხმარებელზე, ჯგუფის კლიენტები არიან როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები. თუმცა ჯგუფს ჰყავს 250-მდე პარტნიორი კომპანია, რომელსაც ამარაგებს საწვავით.

ხელშეკრულების საფუძველზე ჯგუფი იღებს სრულ პასუხისმგებლობას საწვავის ხარისხსა და მომსახურებაზე.

შპს „პპ“-ის ძირითადი მომწოდებლები არიან როგორც რეზიდენტი კომპანიები, ასევე არარეზიდენტი კომპანიები, შესაბამისად მომწოდებლები მნიშვნელოვნად დივერსიფიცირებულია.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება, არსებული მომხმარებლების კმაყოფილებაზე ზრუნვა და ჯგუფის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ტექნოლოგიური სიახლეებისა და ბაზრის არსებული კონიუქტურის გათვალისწინება.

ჯგუფის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

ჯგუფი მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს მომხმარებელთა ახალი სეგმენტის მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

ჯგუფი მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს ნავთობპროდუქტების სფეროში, შესაბამისად ხდება ტექნოლოგიური სიახლეების პერმანენტული დანერგვა საქმიანობაში, რათა გაუმჯობესებულ იქნას უსაფრთხოების სტანდარტი და მომსახურების ხარისხი.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2023 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	გადახრის ახსნა
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,766	24,564	შენიშვნა 1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,574	26,783	შენიშვნა 2
მიღებული სესხები	27,635	34,151	შენიშვნა 3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,497	17,522	შენიშვნა 2

შენიშვნა 1

საანგარიშგებო პერიოდში შეზღუდული რესურსების პირობებში ჯგუფმა მაქსიმალურად შეამცირა მარაგები იმ დონემდე, რაც საკმარისია საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებისთვის.

შენიშვნა 2

ჯგუფმა პერიოდის განმავლობაში უზრუნველყო სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შეგროვება, რაც მიმართა სავაჭრო ვალდებულებების დასაფარად. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ასევე სავაჭრო ვალდებულებები.

შენიშვნა 3

მიღებული მოკლევადიანი სესხები თითქმის სრულად წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტებისაგან მიღებულ სესხებს. 2023 წელს მოხდა მიღებული სესხის ნაწილის დაფარვა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2023	2022
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,695	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	30.5	25.0
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	8,210.1	6,731.2
მშპ-ის რეალური ზრდა, %	7.5%	11%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.5%	11.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,594.7	2,097.9
უმუშევრობის დონე, %	16.4%	17.3%

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები**

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია ჯგუფის არსებული კლიენტებისთვის. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და ჯგუფის შესაბამის პოლიტიკაზე. ჯგუფში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და ჯგუფი დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, რადგან შესასყიდი საქონლის ღირებულება უცხოურ მომწოდებლებთან განისაზღვრება აშშ დოლარში. გამომდინარე იქიდან, რომ საქონლის რეალიზაცია ხორციელდება ლარში, ჯგუფისთვის სავალუტო რისკი მიჩნეულია მნიშვნელოვან ბიზნეს რისკად და მუდმივად მიდის მუშაობა სავალუტო რისკის ჰეჯირების ეფექტური მექანიზმების დანერგვაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად, ჯგუფს წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისთვის.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს:

ნოდარ ხუბაშვილი
დირექტორი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს:



ნოდარ ხუხაშვილი
დირექტორი